



გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

დამტკიცებულია:
სსიპ ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის
სამუსიკო კოლეჯის დირექტორის
ბრძანებით № 1/45, 17.07.2020წ.

სსიპ –ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში (შემდგომში „კოლეჯი“) ხარისხის
მენეჯმენტი– სწავლების ხარისხის შეფასების წესი და პროცედურები

შესავალი:

სწავლების მაღალი ხარისხის მიღწევა და შენარჩუნება პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე განახლების პროცესის მთავარი სტრატეგიული მიზანია. მუდმივი რეფორმები და ახალი სტრატეგია შესაძლებლობას მისცემს პროფესიულ სტუდენტს / მსმენელს მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება და ამავდროულად უზრუნველყოს საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ინტეგრაცია და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება საერთაშორისო და ევროპულ დონეზე. საჭიროა განისაზღვროს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესები და პროცედურები; შემოთავაზებული კრიტერიუმების მიხედვით პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა განხორციელდეს ხარისხის სისტემის თვითშეფასება და დაადგინდეს ის ძირითადი სფეროები, რომლებიც მოითხოვს გაუმჯობესებას. პროფესიული განათლების სისტემაში ხარისხი განისაზღვრება, როგორც „სტუდენტების საჭიროებების და მოლოდინების განსაზღვრა და დაკმაყოფილება“, ხოლო ხარისხის მენეჯმენტი წარმოადგენს პროფესიული სწავლების ხარისხთან მიმართებაში ორგანიზაციის წარმართვის პროცესის, კერძოდ, საგანმანათლებლო დაწესებულების საორგანიზაციო სტრუქტურის, დოკუმენტაციის, შიდა დებულებების პროცედურების განხორციელების წესების, მეთოდური მითითებების, ინსტრუქციების და რესურსების ერთობლიობას, რომელიც საჭიროა ხარისხის მართვისა და კონტროლისთვის.

მუხლი 1. სწავლების ხარისხის შემოწმების წესი და პროცედურა

1.1. სწავლების ხარისხის შემოწმების წესი და პროცედურა წარმოადგენს ხარისხის მექანიზმების შემადგენელ ნაწილს და ასახავს მიმდინარე პროცესის განხორციელების გზებს.

1.2. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

ა. ძირითადი პროცესები - რაც მოიცავს ყველა საჭირო საქმიანობას, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული სტუდენტების / მსმენელების პროფესიულ სწავლებასთან და მომზადება/გადამზადებასთან;

ბ. დამხმარე პროცესები - რომლებიც ხელს უწყობენ ძირითადი პროცესების განხორციელებას და საორგანიზაციო საქმიანობის წარმართვას.

1.3. ამავდროულად ცალკე ქვეჯგუფად შეიძლება გამოვყოთ სწავლების ხარისხის შემოწმებასა და გაუმჯობესებასთან დაკავშირებული პროცესები და პროცედურები.

- სტრატეგიული დაგეგმარება;
- კოლეჯში ხარისხის მართვის სისტემის დაგეგმვა და განვითარება;
- ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი, შეფასება, ანალიზი, გაუმჯობესების გზების დასახვა;
- თვითშეფასება, ავტორიზაცია და პროგრამული აკრედიტაცია.

მუხლი 2. მიმდინარე სასწავლო პროცესზე დაკვირვება /მონიტორინგი

სასწავლო პროცესის შემოწმება ხორციელდება ორი ძირითადი მიმართულებით: მიმდინარე სასწავლო პროცესზე დაკვირვებით/მონიტორინგით და სასწავლო პროცესში ჩართული პირების (მასწავლებელი - სტუდენტის)კმაყოფილების კვლევით. სასწავლო პროცესზე დაკვირვება/მონიტორინგი გულისხმობს კოლეჯში შიდა და გარე მონიტორინგის მექანიზმების მუშაობას.

2.1.შიდა მონიტორინგის მუდმივმოქმედი ჯგუფი იქმნება დირექტორის ბრძანებით.

2.2. სალექციო პროცესის/პრაქტიკული მეცადინეობების მონიტორინგს ახორციელებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი ან/ და დირექტორის ინდივიდუალური ბრძანებით განსაზღვრული პირი - სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტი;

2.3. სალექციო პროცესის /პრაქტიკული მეცადინეობების მონიტორინგი ხორციელდება ლექციებზე/მეცადინეობებზე პერიოდული დასწრებით მოდულის მიმდინარეობის პროცესში წინასწარ განსაზღვრული და გასაჯაროებული გეგმა - გრაფიკის შესაბამისად, ხოლო მოდულების სწავლის შედეგის შემთხვევაში ყოველ მიმდინარე შედეგზე;

2.4.სალექციო პროცესზე/პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრების დროს შიდა მონიტორინგის ჯგუფის წევრი ავსებს საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარს, სადაც განსაზღვრულია საკონტაქტო საათის მახასიათებლები და ხდება სწავლის მიზნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.5.მონიტორინგის შედეგად ფასდება სტუდენტთა ინდივიდუალური პორტფოლიოები, მიმდინარე და დასრულებული მოდულების სწავლის შედეგების დამადასტურებელი მტკიცებულებები;

2.6.სწავლის შედეგზე დასწრების დროს მოწმდება შეფასების ინსტრუმენტების რელევანტურობა (შეესაბამება თუ არა ხარისხის მართვის მენეჯერთან წინასწარ შეთანხმებულ შეფასების ინსტრუმენტს) და ფასდება შეფასების პროცესი;

2.7.შიდა მონიტორინგის მიერ მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად (ანალიზი განიხილება შიდა მონიტორინგის ფოკუს ჯგუფში) გაიცემა რეკომენდაციები სასწავლო პროცესის გაიმჯობესების მიზნით.

მუხლი 3. სწავლების ხარისხით კმაყოფილების შეფასება

3.1. სწავლების ხარისხი ფასდება სასწავლო პროცესში ჩართული პირების (მასწავლებელი - სტუდენტის) კმაყოფილების კვლევით, რომელთა განსახორციელებლად გამოიყენება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ შემუშავებული გამოკითხვის ფორმები;

3.2. გამოკითხვის შედეგების ანალიზის შედეგად (ანალიზი განიხილება შიდა მონიტორინგის ფოკუს ჯგუფში) გაიცემა რეკომენდაციები, იგეგმება ხარისხის განვითარების შემდგომი აქტივობები, კერძოდ, ტრენინგები, პრეზენტაციები, საინფორმაციო შეხვედრები ფოკუს - ჯგუფებთან (მასწავლებლები, სტუდენტები, ადმინისტრაცია) და/ან ინდივიდუალური შეხვედრები საჭიროების შემთხვევაში.

მუხლი 4. ხარისხის მონიტორინგის ფორმები;

- 4.1. კალენდარული გეგმის შემოწმების ფორმა (დანართი 1);
- 4.2. შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების ფორმა (დანართი 2);
- 4.3. საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარი (დანართი 3);
- 4.4. კითხვარი მასწავლებლისათვის (დანართი 4);
- 4.5. კითხვარი სტუდენტებისათვის (დანართი 5);
- 4.6. პროფესიული მასწავლებლის საქმიანობის შეფასების კითხვარი (დანართი 6);

მუხლი 5. დასკვნითი დებულებანი

1. წინამდებარე დოკუმენტის განხორციელებაზე პასუხისმეგებელი პირია კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.
2. წინამდებარე დოკუმენტის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა ხორციელდება კოლეჯის ბრძანების საფუძველზე.

სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი
კალენდარული გეგმის შემოწმების
ფორმა

კალენდარული გეგმის შემოწმების მიზანია, კოლეჯის სასწავლო პროცესის უწყვეტობის და განვითარების, ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფა, რომელიც განსაზღვრავს კოლეჯის სასწავლო პროცესის სრულყოფილ დაგეგმვას, აწესრიგებს პროფესიული მასწავლებლის მიერ კონკრეტული მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა ძირითად საკითხებს.

პროფესიული სანაგანმანათლებლო პროგრამა -----

მოდულის დასახელება -----

| შეფასების პროცესის ძირითადი კომპონენტები | დიახ | არა | ნაწილობრივ |
|--|------|-----|------------|
| 1. პროფესიული განათლების მასწავლებელს კალენდარული გეგმა განსაზღვრულ დროში აქვს წარდგენილი შესათანხმებლად სასწავლო პროცესის მენეჯერთან და ხარისხის მენეჯერთან | | | |
| 2. პროფესიული განათლების მასწავლებლის კალენდარული გეგმა შეესაბამება მოდულის თემატიკას | | | |
| 3. პროფესიული განათლების მასწავლებლის კალენდარული გეგმაში დაფიქსირებული თემატიკა სწორად არის გაწერილი კვირების, თარიღებისა და ჩასატარებელი საათების მიხედვით | | | |
| 4. პროფესიული განათლების მასწავლებლის კალენდარულ გეგმაში სწორად არის დაფიქსირებული სწავლის შედეგების მეთოდები, თარიღები და შეფასებებისთვის გამოყოფილი დრო | | | |
| 5. პროფესიული განათლების მასწავლებელს კალენდარული გეგმა (ინდივიდუალური/ჯგუფური მეცადენობებისათვის) სწორად და ეფექტურად არის შედგენილი | | | |
| 6. პროფესიული განათლების მასწავლებლის კალენდარული გეგმაში შეინიშნება ხარვეზები, რაც გამოსწორებას საჭიროებს | | | |

თარიღი:

სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების

ფორმა

პროფესიული სანაგანმანათლებლო პროგრამა -----

მოდულის დასახელება -----

| შეფასების პროცესის ძირითადი კომპონენტები | დიახ | არა | ნაწილობრივ |
|--|------|-----|------------|
| 1. შეფასების ინსტრუმენტის ჩამონათვალი სრულია და შეესაბამება შეფასების მიმართულებას | | | |
| 2. შეფასების ინსტრუმენტში სწორად არი მითითებული შეფასების ჩატარების თარიღი და ხანგრძლივობა | | | |
| 3. დავალების აღწერა შეესაბამება შესრულების კრიტერიუმებს | | | |
| 4. დავალების თემატიკა თანმიმდევრულად არის ჩაშლილი და შეესაბამება შესრულების კრიტერიუმებს | | | |
| 4. შერულების მტკიცებულება გარკვევით არის დაფიქსირებული | | | |
| 5. შეფასების სქემის მიხედვით ხდება შესაფასებელი პირის შეფასება | | | |
| 6. შეფასების ინსტრუმენტში მითითებულია განმეორებითი შეფასების პროცედურა | | | |

თარიღი:

გმადლობთ ყურადღებისათვის!

სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

საკონტაქტო საათზე დასწრების

კითხვარი

პროფესიული სანაგანმანათლებლო პროგრამა -----

მოდულის დასახელება -----

საკონტაქტო საათზე დასწრების თარიღი: -----

1. პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა ჯგუფური მეცადინების შემოწმების დროს: -----

2. ლექცია ტარდება მოდულში მითითებულ შესაბამის გარემოში (A B C) ?

- ა) დიახ
- ბ) არა

3. ლექცია დაიწყო თუ არა ცხრილით განსაზღვრულ დროს?

- ა) დიახ
- ბ) არა
- გ) ნაწილობრივ

4. საკონტაქტო საათის თემა შეესაბამება წინასწარ გაწერილ კალენდარულ გეგმას?

- ა) დიახ
- ბ) არა
- გ) ნაწილობრივ

5. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ ლექციის პროცესში გამოყენებული მეთოდები და აქტივობები შესაბამისობაშია თუ არა სალექციო თემატიკასთან?

- ა) დიახ
- ბ) არა
- გ) ნაწილობრივ

6. პროფესიული განათლების მასწავლებელი გასაგებად და მრავალფეროვნად ხსნის ახალ მასალას?

- ა) დიახ
- ბ) არა
- გ) ნაწილობრივ

7. პროფესიული განათლების მასწავლებელი ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას?

ა) დიახ

ბ) არა

გ) ნაწილობრივ

8. პროფესიული სტუდენტები აქტიურად და სწორად ასრულებენ პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ მიცემულ დავალებებს?

ა) დიახ

ბ) არა

გ) ნაწილობრივ

9. სასწავლო პროცესის უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო მასალებით და საგანმანათლებლო რესურსებით

ა) დიახ

ბ) არა

გ) ნაწილობრივ

10. კომენტარები და რეკომენდაციები საკონტაქტო საათზე დასწრების პროცესთან დაკავშირებით:

გმადლობთ ყურადღებისათვის!

სსიპ – ქ. გორის სულხან ცინცაძე სახელობის სამუსიკო კოლეჯი

პროფესიული განათლების მასწავლებლის

კითხვარი

1. გაკმაყოფილებთ თუ არა მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ორგანიზების/ადმინისტრირების ხარისხი?

ა) მაკმაყოფილებს;

ბ) არ მაკმაყოფილებს;

უარყოფით პასუხის შემთხვევაში გთხოვთ დააკონკრეტოთ -----

2. თქვენ მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობა მოცემულ ვადებში არის:

ა) ზომაზე მეტი

ბ) ზომიერი

გ) ნაკლები

3. სამუშაო, რომელსაც ასრულებთ, გაძლევთ თუ არა თქვენი შესაძლებლობების გამოვლენისა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობას?

ა) დიახ

ბ) არა

გ) ნაწილობრივ

4. თვლით თუა არა თავს მზად გაუთვალისწინებელ შემთხვევაში სასწავლო პროცესის შეწყვეტისას,გააგრძელოთ მოდულის განხორციელება დისტანციურ რეჟიმში?

ა) დიახ

ბ) არა

თუ შემოსახეთ „ბ“, დააკონკრეტეთ მიზეზი/კოლეჯის მხრიდან მხარდაჭერის გზები

5. გაქვთ თუ არა სურვილი, პროფესიული წინსვლისათვის მონაწილეობა მიიღოთ ტრენინგებში და აიმაღლოთ კვალიფიკაცია?

ა) დიახ ბ) არა

6. კოლეჯში პერსონალსა და კოლეგებთან ახერხებთ თუ არა კოორდინირებულ მუშაობას?

ა) დიახ

ბ) არა

თუ შემოსახეთ „ბ“, დააკონკრეტეთ მიზეზი -----

7. თქვენს აზრსა და იდეებს აფასებენ და ითვალისწინებენ სამსახურში?

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

8. თქვენი აზრით, რომელი ფაქტორების მიხედვით ხდება თანამშრომელთა წახალისება?

ა) დამატებითი სამუშაო

ბ) ინიციატივა

გ) აქტიურობა

დ) სხვა -----

9. გაკმაყოფილებთ თუ არა კოლეჯში არსებული გარემო

ურთიერთობები /დიახ, არა/ -----

კოორდინაცია /დიახ, არა/-----

პროფესიონალიზმი /დიახ, არა/ -----

დაფასება /დიახ, არა/ -----

ტრადიციების ჩამოყალიბება /დიახ, არა/ -----

სხვა -----

10. რას შეცვლიდით სამუშაო პროცესის სრულყოფისა და თქვენი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენისათვის?

გმადლობთ თანამშრომლობისათვის!

თარიღი:

სსიპ - გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსკო კოლეჯის

პროფესიული სტუდენტის

კითხვარი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -----

| № | კითხვები | 1 | 2 | 3 | 4 |
|---|--|-----------------------------|------|-----|------------|
| | | მიჭირს პასუხის გაცემა | დიახ | არა | ნაწილობრივ |
| 1 | თქვენს მიერ არჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაწყებამდე გაეცანით თუ არა სასწავლო გეგმასა და მასში შემავალ მოდულების დროში განაწილებას? | | | | |
| 2 | თვლით თუ არა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი ყველა საჭიროა კვალიფიკაციის მისაღებად? | | | | |
| 3 | გაცნობენ თუ არა მასწავლებლები სასწავლო წლის დასაწყისში მოდულის მიზნებს, ამოცანებს და ცოდნის შეფასების სისტემას? | | | | |
| 4 | ხსნიან თუ არა გასაგებად მასწავლებლები თეორიულ მასალას? | | | | |
| 5 | გაკმაყოფილებთ თუ არა ლექციის მსვლელობისას მასწავლებლის მიერ განმარტებული რთული და საკვანძო მომენტები? | | | | |

| | | | | | |
|-----|---|--|--|--|--|
| 6 | არის თუ არა ორიენტირებული სალექციო მასალა სტუდენტთა მომავალ პროფესიულ საქმიანობაზე? | | | | |
| 7 | ავლენენ თუ არა მასწავლებლები სასწავლო მოდულისადმი შემოქმედებით მიდგომას და ინტერესს? | | | | |
| 8 | აძლევენ თუ არა მასწავლებლები სალექციო მეცადინეობისას სტუდენტებს კითხვების დასმისა და დისკუსიაში ჩართვის შესაძლებლობას? | | | | |
| 9 | ავლენენ თუ არა ობიექტურობას მასწავლებლები სტუდენტის ცოდნის შეფასებისას? | | | | |
| 10 | განუმარტავენ თუ არა მასწავლებლები სტუდენტების მიერ დაშვებულ შეცდომებს და აძლევენ თუ არა სათანადო რეკომენდაციებს? | | | | |
| 11 | არიან თუ არა მასწავლებლები სტუდენტების მიმართ კეთილგანწყობილნი, თავაზიანები და ტაქტიანები? | | | | |
| 13. | სასწავლო პროცესი საინტერესოდ მიმდინარეობს | | | | |
| 14 | მოდულზე გათვალისწინებული საათები საკმარისია პრაქტიკული უნარების დასაუფლებლად? | | | | |
| 15 | შემოთავაზებული სასწავლო რესურსები (სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები, აუდიოორიები) აკმაყოფილებს ჩემს სასწავლო საჭიროებას და ხელმისაწვდომია. | | | | |
| 16 | კოლეჯის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს სასწავლო პროფესის სრულყოფილად წარმართვას | | | | |
| 17 | კოლეჯი სთავაზობს სსსმ და შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემოს | | | | |

თარიღი:

გმადლობთ ინფორმაციისათვის!

სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

პროფესიული მასწავლებლის საქმიანობის შეფასების

კითხვარი

პროფესიული სანაგანმანათლებლო პროგრამა -----

| შეფასების პროცესის ძირითადი კომპონენტები | დიახ | არა | ნაწილობრივ |
|--|------|-----|------------|
| 1. ლექციებზე ცხადდება დროულად და ატარებს სრულად | | | |
| 2. დროულად და სრულყოფილად ადგენს კალენდარულ გეგმას | | | |
| 3. საუბრობს გასაგებად და გამართულად | | | |
| 4. მეცადინეობას წარმართავს თავდაჯერებულად: აუდიტორიის მოთხოვნებზე, რეაქციასა და უკუკავშირზე შეუძლია სწრაფი და სწორი რეაგირება, სასწავლო პროცესში სტუდენტის ჩართულობის უზრუნველსაყოფად იყენებს ინდივიდუალურ მიდგომებს | | | |
| 5. სტუდენტების შეკითხვებზე იძლევა ამომწურავ პასუხებს | | | |
| 6. ცდილობს ლექციის პროცესში თიეული სტუდენტის აქტიურად ჩართულობას | | | |
| 7. სამართლიანად აფასებს სტუდენტს წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით | | | |
| 8. აქტიურად იღებს მონაწილეობას მის პროფესიათან დაკავშირებულ ტრენინგებსა და საინფორმაციო შეხვედრებში | | | |
| 9. ავლენს შემოქმედებით უნარ-ჩვევებს ლექციის დაგეგმვისა და ლექციის მსვლელობის დროს | | | |
| 10. მიისწარფის პროფესიული განვითარებისაკენ | | | |

თარიღი:

გმადლობთ ყურადღებისათვის!